

დამატებითი შეთანხმება

ორ სიმბოლოიანი ტიპის დომენური სახელების რეგისტრატორის მიერ, საკუთარ სახელზე რეგისტრაციის შესახებ

ვინაიდან, მხარეების სურვილია განახორციელონ .GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის, მათ შორის, ორ სიმბოლოიანი ტიპის დომენური სახელის პოპულარიზაცია;

ვინაიდან, ასეთი პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით მხარეებს სურთ განსაზღვრონ ორ სიმბოლოიანი ტიპის დომენური სახელების სპეციალური ტარიფი, რომელიც იმოქმედებს რეგისტრატორის ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან ერთი კალენდარული წლის განმავლობაში იმ პირობებით, როგორც ეს მოცემულია ამ დანართში.

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. რეგისტრატორის ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში, რეგისტრატორის მიერ ჯამურად, არაუმეტეს 5 (ხუთი) ორ სიმბოლოიანი ტიპის დომენური სახელის 1 (ერთი) წლით რეგისტრაციისთვის გადასახდელი საფასური თითოეული ასეთი დომენური სახელისთვის არის 50 (ორმოცდაათი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
2. გადახდის წესი რჩება უცვლელი, როგორც ეს მოცემულია რეგისტრატორის ხელშეკრულების #3 დანართში.
3. ყოველგავრი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ წინამდებარე პირველ პუნქტში მითითებული დომენური სახელების რეგისტრაციის განახლების შემთხვევაში, რეგისტრატორი ვალდებულია გადაუხადოს ადმინისტრატორს რეგისტრაციის განახლების საფასური რეგისტრატორის ხელშეკრულების #3 დანართში მოცემული ტარიფის შესაბამისად, რაც შეადგენს 800 (რვაასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

მხარეთა ხელმოწერები:

რეგისტრატორის სახელით

ადმინისტრატორის სახელით
